## პროგრამის ფორმა

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 01 07 | საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება |

| პროგრამის განმახორციელებელი: | ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მერიის ადმინისტრაცია | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 40 000 | 52 000 | 54 000 | 54 000 |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა; გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების გაზრდა. |
| პროგრამის აღწერა | საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები: დასახლების საერთო კრება, პეტიცია, მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, სხვა ფორმატის მოსახლეობის ჩართულობის მექანიზმები. თუმცა არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სრულყოფილად ვერ ხორციელდება მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას და აქტუალურია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებულ იქნას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ალტერნატიული ფორმები, რომელიც იქნება ეფექტური და რეალურად შესაძლებელი იქნება მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.<br>- საჭიროა მოქალაქეთა მაქსიმალური ინფორმირება თვითმმართველობაში მიმდინარე პროცესების შესახებ კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმების მეშვეობით.<br>- ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული პრობლემების უკეთ დანახვა იქ მაცხოვრებელი ადამიანების თვალსაწიერიდან და ამ პრობლემის მოგვარების გზების დასახვა უშუალოდ ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ადამიანების აქტიური ჩართულობით;<br>მოსახლეობის  ჩართულობის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების და ბიუჯეტის ფორმირების პროცესში და მუნიციპალური პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება მოსახლეობის ინტერესებზე მორგებით;<br>ინფორმაციის გავრცელებისათვის გამოყენებული იქნება ტელევიზია, რადიო და ბეჭდური მედია, გააქტიურდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, მოხდება ვებ-გვერდის ფუქციონალური განახლება, ინფორმაციის მიღების ონლაინ საშუალებების დანერგვა.<br>- მომზადდება სამოქმედო სახელმძღვანელო, რომელშიც აღწერილი იქნება კავშირების არსი, მნიშვნელობა, შექმნის პროცედურები, შექმნისა და საქმიანობისთვის საჭირო ფორმულარები, სხვა მნიშვნელოვანი საკითხები;<br>- ჩატარდება საინფორმაციო კამპანია, შეხვედრების გრაფიკის შემუშავება, ბუკლეტების მომზადება ბეჭდვა, გამოკითხვის ანკეტების მომზადება და ბეჭდვა, საზოგადოების ინფორმირება პროგრამის მიზნებისა და პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ;<br>- ადმინისტრაციული უბნების მიხედვით განხორციელდება მოსახლეობის გამოკითხვა.<br>გენდერული თანასწორობის საბჭოს რეკომენდაციით გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის ღონისძიებები:<br>საჯარო შეხვედრების ორგანიზება, კვლევების ჩატარება, კონფერენციების ორგანიზება; ლიფლეტების, პოსტერებისა და ფლაერების დაბეჭდვა; სარეკლამო კლიპებისა და ვიდეო-რგოლების მომზადება გენდერული თანასწორობის საკითხებზე და მისი სატელევიზიო და ონლაინ სივრცეში განთავსება. |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო  შედეგი | უზრუნველყოფილია საზოგადოების ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ და გაზრდილია მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში; გზარდილია გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერება. |

| № | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | | | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | მიზნობრივი 2024 წელი | მიზნობრივი 2025 წელი | მიზნობრივი 2026 წელი | |
| 1 | გაშუქებული ინფორმაციის მაჩვენებლის გაზრდა წინა წელთან შედარებით | 10% | 10% | 10% | 10% | 10% | გაშუქებული ინფორმაციის სიმცირე, გაშუქებულ ინფორმაციაში შესაძლო ხარვეზები და უზუსტობები |